# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 287

„ 13 " სექტემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.029.055) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის"(ს/ნ:404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.029.055) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის"(ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 14 აგვისტოს №19.868.1121 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.029.055) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 600 (ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე